ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 9/48

2024 წლის 30 ივლისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე არსებული 47.21 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.181.01.502) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, 2024 წლის 26 აგვისტოს N MES 9 24 0001016893 წერილით მომართა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა, სადაც აღნიშნულია, რომ ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შენობა (მისამართი: ქალაქი ფოთი, გორგასლის ქუჩა N 37) ავარიულ მდგომარეობაშია და შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით საჭიროებს ექსპლუატაციის შეჩერებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი სამუშაო გარემოსთვის ითხოვს, შესაბამისი ფართის გამოყოფას დროებით სარგებლობაში რათა რესურსცენტრმა შეძლოს შეფერხების გარეშე ფუნქციონირება.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2024 წლის 26 აგვისტოს N MES 9 24 0001016893 წერილზე თანდართულია სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს, 2024 წლის 02 აგვისტოს N MES 2 24 0000937147 წერილი, რომლითაც დგინდება, რომ ჩატარდა ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრის შენობის ვიზუალური დათვალიერება, მისი ტექნიკური მდგრადობის დადგენის მიზნით. რესურსცენტრის ორსართულიანი შენობის კედლები წითელი აგურითაა ნაშენი. სართულშუა გადახურვა განხორციელებულია ლითონის კოჭებს შორის მოწყობილი მონოლითური რკინაბეტონის ფილებით. შენობა, ქუჩაში ტრანსპორტის მოძრაობის დროს განიცდის რყევას, რაც იწვევს გადახურვის რ/ბ ფილებიდან ბეტონის ნატეხების ჩამოყრას. აღნიშნულ სიტუაციაში მიზანშეწონილია შენობის კონსტრუქციების ვარგისიანობა ინსტრუმენტალური კვლევით შეაფასოს საექსპერტო ორგანიზაციამ. შენობის ვარგისიანობის დადგენას სააგენტო დაუკვეთავს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. დასკვნის მიღებამდე შესაძლო საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია შენობის ექსპლუატაციის შეჩერება.,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ურთიერთობა ემყარება ურთიერთთანამშრომლობის პრინციპს.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წინადადებით შემოვიდა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე არსებული 47.21

კვ.მ.არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.181.01.502) (თანდართული შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მისაღებად.

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან მხოლოდ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

ამასთანავე, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა N10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე არსებული 47.21 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.181.01.502) (თანდართული შიდა აზომვითი ნახაზის შესაბამისად) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №10-ში მდებარე შენობის მე-3 სართულზე არსებული 47.21 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.181.01.502) (თანდართული აზომვითი ნახაზის შესაბამისად) 2 (ორი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე, სარგებლობაში გადასცეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ ფოთის საგანმანათლებლო რესურსცენტრს (ს/კ 215129698).

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2024 წლის 30 სექტემბრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **ალექსანდრე ტყებუჩავა**

ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №10 მდებარე
სამსართულიანი არასაცხოვრებელი შენობის
მესამე სართულზე განთავსებული ფართის
შიდა აზომვითი ნახაზი მ. 1:200

ს/ბ 04.01.11.181.01.502



საერთო ფართი: 47,21 კვ.მ